ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №24

01 მარტი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319058156-03; 27.02.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებელი:

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319058156-03; 27.02.2019).**

კომისიის სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო - საბიუჯეტო, სარევიზიო, განათლებისა და კულტურის კომისიებთან ერთად.

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 62 820,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 063 101,8 ათასი ლარით. მათ შორის ცვლილებები ხორციელდება ტრანსპორტის განვითარების მხრივ.

ლ.მიქავა - წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ცვლილებები ძირითადად ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების ბიუჯეტში ასახვით, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N29 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 თებერვლის N335 განკარგულებებით. სესხის აღების მიზნით კომერციულ ბანკებში გაიხსნება საკრედიტო ხაზი, რომლის აუცილებლობაც განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილდა 68 324,6 ათასი ლარი შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 1 880,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) 4 800,0 ათასი ლარით; ემატება პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 500.0 ათასი ლარის ოდენობით; პროგრამას თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) ემატება 200,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამას დაავადებათა სკრინიგი (კოდი 06 01 02) ემატება 450,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) იზრდება 30,0 ათასი ლარით; სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) იზრდება 3 357,0 ათასი ლარით; პროგრამა ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) იზრდება 27 920,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებებს (კოდი 03 01) ემატება 5 200,0 ათასი ლარი; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) იზრდება 3 789,6 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) იზრდება 557,3 ათასი ლარით; ქვეპროგრამა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) იზრდება 200,0 ათასი ლარით; კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების

ღონისძიებები (კოდი 08 04 04) იზრდება 200,0 ათასი ლარით; იზრდება გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში სულ 12 262,2 ათასი ლარით, მათ შორის გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 2 907,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში - 1 398,7 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში 124,3 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში 1 266,4 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 3 415,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში 300,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში -2 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში 600,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში 250,0 ათასი ლარი; იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში 2 884,3 ათასი ლარით, მათ შორის კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში - 494,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში - 162,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში - 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში - 1 127,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში - 600,0 ათასი ლარი; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის პროგრამას (კოდი 09 01) ემატება 3 992,7 ათასი ლარი; იზრდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხარჯები (კოდი 10 28) 101,3 ათასი ლარით. გარდა ამისა ბიუჯეტში ასახული იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამა 37,2 ათასი ლარის ოდენობით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის შემცირების ხარჯზე.

მცირდება:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 3 200,0 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 1 600,0 ათასი ლარით; კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) 30,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) 4,8 ათასი ლარით; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 79,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) 83,4 ათასი ლარით; მცირდება მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02) 206,8 ათასი ლარით.

ი.ნადირაძე - როდესაც საკრედიტო ხაზის გახსნაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო თანხმობა, განმარტებული იყო, რომ თუ საჭიროება არ იქნებოდა კრედიტს არ ავიღებდით, საინტერესოა რა პირობებით ხდება სესხის

აღება. გარდა ამისა, პროექტის მიხედვით იზრდება გამწვანების ღონისძიებების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამები, რას მოხმარდება აღნიშნული თანხა.

ლ.მიქავა - საკრედიტო ხაზის გახსნა არ გულისხმობს სესხის აღებას, ამჟამად მხოლოდ ხელშეკრულებას ვაფორმებთ ხაზის გახსნაზე და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სესხის აღება. საკრედიტო ხაზი ერთწლიანია და ერთი წლის შემდეგ უნდა დაიხუროს. ექვსი ბანკისგან მივიღეთ ინფორმაცია, მისაღები პირობებიდან გამომდინარე საკრედიტო ხაზს ვხსნით სს „ლიბერთი ბანკში“ და სს „თი ბი სი“ ბანკში, სესხის აღების შემთხვევაში წლიური პროცენტი იქნება 10 %.

ი.ნადირაძე - რა ოდენობის თანხა იქნება პროცენტის სახით გადასახდელი.

ი.ზარქუა - ჩვენ გვაქვს მხოლოდ საკრედიტო ხაზი, წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ პროცენტის სახით რა თანხა გვექნება გადასახდელი.

ლ.მიქავა - რაც შეეხება თანხის ზრდას სასწრაფო სამედიცინო დახმარების და გამწვანების ღონისძიებების ქვეპროგრამების ფარგლებში, მოხდება 80 სასწრაფო დახმარების ავტომობილის შეძენა, გამწვანების ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ვარკეთილის პარკის რეაბილიტაცია და მერქნიანი ხეების შეძენა.

თ.ისაკაძე - ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის 2007 წლის 7 დეკემბერს „ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „სი-ტი პარკის“ მიერ, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების გამო, 2018 წლის 10 აპრილამდე გამოწერილი საჯარიმო ოქმების საფუძველზე 2019 წელს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხებიდან ნაწილის ანაზღაურება. სატრანსპორტო საკითხთა კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროექტს ვინაიდან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები კვლავაც რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება არაერთი უმნიშვნელოვანესი და მასშტაბური ღონისძიება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი (მომხრე - **5;** თავი შეიკავა - **1,** წინააღმდეგი - **0**).

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319058156-03; 27.02.2019) გავიდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო ისაკაძე